ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2660306

ნომერი: AR1411813

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 20.06.2016

გაცნობის თარიღი : 22.06.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხის / ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი ; ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხის / ქალაქი თბილისი , ქუჩა III რეხი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ლურსმანაშვილი პ/ნ 01005005734
- თბილისი არ.კერესელიძის ქ. N 2 ბ. 22

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1411813 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: #01.16.08.008.020; 01.16.08.008.019) გაერთიანებასა და შემდგომ სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არქიტექტურის სამსახურის მიერ №1295019 (09.06.2014 წ.) გადაწყვეტილებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გემარებითი დავალება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს #206 12/12/2014 წლის განკარგულებით განაშენიანების რეგულირების გეგმა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განთავსების მიზნით. აქედან გამომდინარე ცალკეული ობიექტების პროექტის შეთანხებისას საკითხი განსახილველად უნდა დააყენოთ შემდგომ სტადიებზე: II სტადია - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; III სტადია - მშენებლობის ნებართვის გაცემა

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.